გაზეთის „ახალი განათლება" ხელმოწერის შესყიდვის შესახებ

**ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №617 2**

თბილისი 5.01.2016წ.

## 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების (მე-3 მუხლის I-ლი პუნქტის „ს" ქვეპუნქტი) შესაბამისად.

ერთი მხრივ შ.პ.ს „ახალი განათლება" (შემგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის მარიკა ჩიქოვანის სახით და მეორე მხრივ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ითხვისის №2 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი") მისი დირექტორის მარიამ ბოქორიშვილი - სახით დადეს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

## 2. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 პერიოდული გამოცემის გაზეთის „ახალი განათლება" 2016 წლის ხელმოწერის შესყიდვა (CPV: 22200000) (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი").

## 3. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 68(სამოცდარვა) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4. ა, „მიმწოდებელი" ვალდებულია:

4.1 დროულად გამოსცეს გაზეთი „ახალი განათლება" და ეტაპობრივად (ყოველკვირეულად) მიაწოდოს „შემსყიდველს" სააგენტოს საშუალებით, 2016 წლის 20 იანვრიდან 2016 წლის 29 დეკემბრამდე (გარდა ივლისი –აგვისტოს თვისა) ხუთ, წლის განმავლობაში – 40 ნომერი.

4.2 შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში. გაზეთის ყველა ნომერი მიეწოდება ელექტრონული ზედნადების თანხლებით.

ბ. „შემსყიდველი" ვალდებულია:

4.3 ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის ვადაში, ჩარიცხოს საბანკო ანგარიშზე გაზეთის ხელმოწერის ღირებულება.

4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

### 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### 7. სადავო საკითხთა გადაჭრის პირობები

7.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში,დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს.

### 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

### 9. ფორს-მაჟორი

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი აქვთ.

| „მიმწოდებელი" | „შემსყიდველი" |
|---|---|
| შ.პ.ს „ახალი განათლება" | სსიპ ჭიათ. მუნ. სოფ. ითხვისის №2 საჯ. სკოლა |
| ქ. თბილისი. ტეტელაშვილის ქ. №3 | მის: ჭიათურა სოფ. ითხვისი |
| axaliganatleba@gmail.com | სსსქ ბანკი BAGAGE 22 |
| ს/ს „საქართველოს ბანკი" | ა/ა. BG85GE0000000123350300 |
| ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 | ს/კ 215606324 |
| ს/კ 202058735 ბ/კ BAGAGE22 | |
| დირექტორი მ. ჩიქოვანი | დირექტორი |